

პოეტი როგორც მემატიანე, დიპლომატი და მორალური ავტორიტეტი ისლამამდელი არაბულ ტომობრივ საზოგადოებაში

ვახტანგ თევდორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

e-mail: vaxotevdoradze@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.12>

ისლამამდელი არაბული საზოგადოება (ჯაჰილიის ეპოქა), წარმოადგენდა ტომობრივ, ზეპირ ტრადიციებზე დაფუძნებულ სოციალურ სისტემას, სადაც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები თანამედროვე გაგებით არ არსებობდა. საზოგადოებრივი წესრიგი, სამართალი, მეხსიერება და ღირებულებათა სისტემა ეფუძნებოდა ზეპირ კულტურას, ტომობრივ იდენტობასა და პატივის შარაფის (شرف) კოდექსს, რაც ნიშნავს: ტომისადმი ერთგულებას, საკუთარი ტომის დაცვას ნებისმიერ ვითარებაში; სისხლის აღება (النشر - *at-ta'r*) შეურაცხყოფის ან მკვლელობის შემთხვევაში შურისძიება; სტუმართმოყვარეობა (الضيافة - *ad-diyāfa*) სტუმრის პატივისცემა და დაცვა; სიმამაცე (الشجاعة - *aš-šajā'a*) ბრძოლაში გამბედაობა; სიტყვის ერთგულება, დაპირების შესრულება; ოჯახის ღირსების დაცვა, განსაკუთრებით ქალების პატივისა და უსაფრთხოების დაცვა.

ასეთ რეალობაში პოეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა არა მხოლოდ, როგორც შემოქმედი, არამედ როგორც ისტორიული მეხსიერების მცველი, პოლიტიკური შუამავალი და ეთიკური ნორმების განმსაზღვრელი ფიგურა. იგი ასრულებდა კოლექტიური მეხსიერების, პოლიტიკური კომუნიკაციისა და მორალური რეგულაციის ფუნქციებს.

ისლამამდელი პოეზია, განსაკუთრებით „მულაჰკების“ კრებული (მაგ., იმრუ ლკაისი, ანთარა იბნ შადადი, ზუჰაირ იბნ აბისულმა) გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს იმდროინდელი არაბული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და მორალურ სტრუქტურაზე. ასევე გვაძლევს შესაძლებლობას გავანალიზოთ პოეტის სოციალური სტატუსი და მისი ინსტიტუციური მნიშვნელობა. აღნიშნული ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს პოეტის მრავალფუნქციური როლი, როგორც მემატიანე, დიპლომატი და მორალური ავტორიტეტი.

I. სოციალური და კულტურული კონტექსტი: ზეპირსიტყვიერება და ტომობრივი იდენტობა

ისლამამდელი არაბეთი არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს. ტერიტორია დაყოფილი იყო რეგიონებად, სადაც ცხოვრობდნენ და მომთაბარებოდნენ ტომები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ უხუცესები (შეიხები). ტომობრივი იდენტობა განსაზღვრავდა ადამიანის სოციალურ სტატუსს, უსაფრთხოებასა და ღირსებას. სისხლის აღება, პატივის დაცვა და შურისძიება სოციალური წესრიგის ძირითადი მექანიზმები იყო. ისლამამდელი არაბეთი სეგმენტარული ტომობრივი სტრუქტურით ხასიათდებოდა. როგორც მარშალ ჰოჯსონი აღნიშნავს, არაბული საზოგადოება ეფუძნებოდა „ასაბიას“

ტომობრივ სოლიდარობასა და კოლექტიურ პატივის კოდექსს [Hodgson, 1974]. წერა-კითხვა ფართოდ გავრცელებული არ იყო, რის გამოც ზეპირი ტრადიცია კულტურული მემსიერების მთავარ მატარებლად იქცა. პოეზია ასრულებდა არქივის ფუნქციას, ის ინახავდა ომების ისტორიას, საგვარეულო გენეალოგიას, გმირობის მაგალითებსა და მორალურ ნორმებს.

ასეთ პირობებში პოეზია იქცა კულტურული კაპიტალის უმთავრეს მატარებლად. ალბერტ ლორდისა და მილმან პარის ზეპირი ფორმულის თეორიის მიხედვით, მსგავსი საზოგადოებები ქმნიან მემსიერების სტრუქტურირებულ სისტემებს, სადაც პოეტი წარმოადგენს ტრადიციის რეპროდუქციის მთავარ ფიგურას [Lord, 1960]. ამგვარად, ისლამამდელი არაბული პოეზია იყო არა მხოლოდ ლიტერატურული პრაქტიკა, არამედ სოციალური ინსტიტუტიც.

II. პოეტი როგორც მემსიანე: ისტორიული მემსიერების კონსტრუქცია

ისლამამდელ პოეზიაში მკაფიოდ იკვეთება ისტორიული ცნობიერება, ტომის გენეალოგია, ომები და გმირული ეპიზოდები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს პოეტურ ტექსტებში. პოეტი ითვლებოდა ტომის „მემსიერებად“. მისი შემოქმედება ასახავდა: ტომის წარმოშობასა და საგვარეულო ხაზს, ბრძოლებსა და გამარჯვებებს, გმირების საგმირო საქმეებს, სოციალურ და ეთიკურ ღირებულებებს. ანთარა იბნ შადადი საკუთარ პოეზიაში ხაზს უსვამს საგვარეულო კუთვნილებასა და ბრძოლებში გამოვლენილ სიმამაცეს. მისი ტექსტები გვაძლევს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ინფორმაციას ტომობრივი ურთიერთობების შესახებ. თავის ლექსებში არა მხოლოდ პირად გმირობას აღწერს, არამედ აფიქსირებს ტომობრივ დაპირისპირებებსა და სოციალურ იერარქიას.

ისტორიკოსი ფ.ე. პიტერსი აღნიშნავს, რომ ისლამამდელი პოეზია წარმოადგენს „ისტორიის პოეტურ არქივს“, სადაც ფაქტი და იდეალიზაცია ურთიერთგადაჯაჭვულია [Peters, 1994]. პოეტის როლი აქ სცდება ინდივიდუალურ შემოქმედებას, იგი ქმნის კოლექტიური იდენტობის ნარატივს. იმრუ ლ-კაისი, რომელსაც ხშირად „არაბული ლირიკის მამად“ მოიხსენიებენ, მის ლექსებში ვხვდებით პოლიტიკური დევნილობის, ძალაუფლების დაკარგვისა და შურისძიების თემებს, რაც ასახავს იმდროინდელ ტომობრივ დინამიკას. მისი პოეზია გვიჩვენებს, რომ პირადი გამოცდილება გარდაიქმნება ტომობრივი მემსიერების ნაწილად. საკუთარ პოეზიაში აერთიანებს პირად ტრაგედიას, პოლიტიკური კონფლიქტების აღწერასა და კულტურულ რეალიებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოეტური ტექსტი ხშირად იყო ერთადერთი წყარო, რომელიც კონკრეტული ისტორიული მოვლენის შესახებ გვაწვდიდა ცნობებს. შესაბამისად, პოეტი არა მხოლოდ შემოქმედი, არამედ ისტორიკოსის ფუნქციის მატარებელიც იყო. ამრიგად, პოეტი ფუნქციონირებს როგორც ისტორიული რეალობის ინტერპრეტატორი და მემსიერების არქიტექტორი.

III. პოეტი როგორც დიპლომატი: სიტყვა როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი

ტომობრივ საზოგადოებაში ურთიერთობები ხშირად რეგულირდებოდა კომუნიკაციით. პოეტური ტექსტი შეიძლება გახდეს ომის პროვოკაცია ან მშვიდობის საფუძველი. აქ სიტყვას ჰქონდა განსაკუთრებული ძალა. პოეტს შეეძლო: ომის გამოცხადება და მტრის დისკრედიტაცია სატირული ლექსით, მშვიდობის ხელშეწყობა და ტომებს შორის მოლაპარაკებების მხარდაჭერა ქების პოეზიით. მაგალითად, სატირული თემა (ჰიჯა') სოციალური სანქციის ფორმა იყო, ტომის ღირსების შელახვა პოეტური გზით, დამამცირებელი ლექსით, ნიშნავდა პოლიტიკური დაპირისპირების ესკალაციას, ის

ხშირად უფრო ძლიერი იარაღი იყო, ვიდრე მახვილი. ამ თვალსაზრისით, პოეტი ასრულებდა პროპაგანდისტულ და ამავე დროს დიპლომატიურ ფუნქციას.

ზუჰაირ იბნ აბი სულმა განსაკუთრებით გამოირჩევა მშვიდობის თემატიკით. მისი პოეზია აქებს იმ ლიდერებს, რომლებმაც ტომებს შორის მშვიდობა დაამყარეს, სისხლის აღება შეწყვიტეს. მისი ლექსები მშვიდობის პოლიტიკურ აქტადაც შეიძლება ჩაითვალოს და განვიხილოთ, როგორც კონფლიქტის მედიაციის ფორმა. მის ტექსტებში მშვიდობა წარმოდგენილია არა როგორც სისუსტე, არამედ როგორც გონივრული პოლიტიკური არჩევანი. იგი აქებს შერიგებას, კომპენსაციის გადახდას და კონფლიქტის რაციონალურ მოგვარებას. ამგვარად, მისი პოეზია შეიძლება განვიხილოთ როგორც მედიაციის დისკურსი, რომელიც ძალადობას ებრძვის. აქ პოეტი ასრულებს „შუამავლის“ ფუნქციას, იგი აყალიბებს ნარატივს, რომელშიც კონფლიქტის დასრულება ხდება ღირსების შენარჩუნებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაბულ ტომობრივ საზოგადოებაში, სადაც შურისძიება იყო სოციალური ვალდებულება. ამიტომ პოეტი ქმნის ალტერნატიულ ინტერპრეტაციას, რომელშიც შერიგება არ ნიშნავს ღირსების დაკარგვას.

პოეტი იყო დიპლომატი, ის მოქმედებს, როგორც აღვნიშნეთ „შუამავალი“, რომელიც აყალიბებდა საზოგადოებრივ აზრს და გავლენას ახდენდა ტომთაშორის ურთიერთობებზე. მისი სიტყვა აქ იქცევა პოლიტიკური რეალობის კონსტრუქციის საშუალებად. პოეტი განსაზღვრავს, ვინ არის გამირი და ვინ მოღალატე; ვინ იმსახურებს ქებას და ვინ დაცინვას. შედეგად, პოეტური ტექსტი მოქმედებს, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ინსტრუმენტი, რაც ტომთაშორის ურთიერთობებზე პირდაპირ გავლენას ახდენს.

ამრიგად, ტომობრივ არაბულ საზოგადოებაში პოეტი იყო არა მხოლოდ ესთეტიკური შემოქმედი, არამედ პოლიტიკური აქტორი. მისი სიტყვა ფუნქციონირებდა, როგორც სოციალური სანქცია, მოლაპარაკების ინსტრუმენტი და კოლექტიური იდენტობის ფორმირების მექანიზმი.

IV. პოეტი როგორც მორალური ავტორიტეტი: ეთიკური ნორმების დისკურსი

ისლამამდელი არაბული საზოგადოება ეფუძნებოდა ღირსებას, სიმამაცეს, სტუმართმოყვარეობას და ერთგულებას. პოეზია იყო ამ ღირებულებების რეპრეზენტაციისა და ლეგიტიმაციის ძირითადი მექანიზმი. პოეტები ამ ღირებულებებს არა მხოლოდ ასახავდნენ, არამედ აძლიერებდნენ. მათი ლექსები ქმნიდნენ ქცევის მოდელს და განსაზღვრავდნენ, რა იყო ღირსეული და რა სამარცხვინო. მაგალითად, ანთარა იბნ შადადი ქმნის გამირის არქეტიპს, მას გამირობისა და ღირსების იდეალად განასახიერებს, რომლის ქცევა შეესაბამება კოლექტიურ მოლოდინებს. მისი ტექსტები არა მხოლოდ აღწერს გამირობას, არამედ მას ნორმატიულად ამტკიცებს. ის არა მხოლოდ პირადი იდენტობის გამოხატულებაა, არამედ სოციალური ნორმების მტკიცებაცაა. ზუჰაირ იბნ აბი სულმას პოეზია კი გამოირჩევა ზნეობრივი სიფრთხილითა და შერიგების იდეით. ის გამოხატავს უაზრო სისხლისღვრას და აქებდა მშვიდობის დამყარებას, რითაც ეთიკურ დისკურსს უფრო გააზრებულ მიმართულებას აძლევდა.

მაქს ვებერის ქარიზმატული ავტორიტეტის თეორიის გამოყენებით შეიძლება ითქვას, რომ პოეტი ფლობს სიმბოლურ ძალაუფლებას, რომელიც არ ეფუძნება იურიდიულ, სამართლებრივ ინსტიტუტს, არამედ კულტურულ აღიარებას. პოეტის სიტყვა განსაზღვრავდა სოციალური რეპუტაციის ბედს, ქება (მადჰი) ამაღლებდა სტატუსს, ხოლო სატირა (ჰიჯა') ანგრევდა მას. ამდენად, პოეტი იყო მორალური სივრცის არბიტრი.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია პოეზიის ფუნქციის გააზრება, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმისა. ტომობრივი საზოგადოების პირობებში, სადაც ფორმალიზებული სამართლებრივი სისტემა სუსტი ან არარსებული იყო, კოლექტიური აზრი და რეპუტაცია იქცეოდა რეგულირების მთავარ ინსტრუმენტად. პოეტური დისკურსი ქმნიდა სიმბოლურ საზღვრებს მისაღებას და მიუღებელს შორის; ქცევა, რომელიც ლექსში ქებად იქცეოდა, ნორმად მყარდებოდა, ხოლო დაცინვის ობიექტი სოციალური იზოლაციის საფრთხეს ატარებდა. ამგვარად, პოეზია ასრულებდა იმ ფუნქციას, რომელსაც მოგვიანებით ინსტიტუციური სამართალი და რელიგიური ნორმატიულობა შეითავსებს.

ამავე დროს, პოეტური ტექსტი წარმოადგენდა კოლექტიური მეხსიერების არქივს, სადაც ფიქსირდებოდა ტომის ისტორია, კონფლიქტები და მორალი. პოეტი არა მხოლოდ აფასებდა მოვლენებს, არამედ მათთვის ინტერპრეტაციულ ჩარჩოსაც ქმნიდა. მისი ნარატივი განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა გაგებულყო გმირობა, მსხვერპლი, შურისძიება ან შერიგება. ამგვარად, ეთიკური ნორმა იქმნებოდა არა აბსტრაქტული წესის სახით, არამედ კონკრეტული ისტორიული მაგალითების ესთეტიზებული გადმოცემის გზით, რაც მას უფრო ძლიერ გავლენას ანიჭებდა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

საბოლოოდ, პოეტის ავტორიტეტი ეფუძნებოდა არა მხოლოდ ინდივიდუალურ ნიჭს, არამედ აუდიტორიის აღიარებასა და კოლექტიურ რეზონანსს. მისი სიტყვა ეფექტიანი იყო იმიტომ, რომ საზოგადოება მას აღიქვამდა როგორც სიმართლისა და ღირსების გამომხატველს. სწორედ ამ აღიარების საფუძველზე პოეტი იქცა ეთიკური დისკურსის ცენტრალურ ფიგურად, რომელიც აყალიბებდა ღირებულებათა იერარქიას და განსაზღვრავდა სოციალური წესრიგის სიმბოლურ სტრუქტურას.

V. პოეტის ინსტიტუციური სტატუსი და სიმბოლური ძალაუფლება

ისლამამდელ არაბეთში, ზეპირი ტრადიციის პირობებში პოეტი აღიქმებოდა, როგორც განსაკუთრებული ნიჭის მატარებელი. გავრცელებული იყო წარმოდგენა, რომ პოეტური შთაგონება ჯინისგან მოდიოდა. ეს რწმენა აძლიერებდა პოეტის ქარიზმატულ სტატუსს და ზრდიდა მის ავტორიტეტს. ტომისთვის ძლიერი პოეტის არსებობა ნიშნავდა კულტურულ და პოლიტიკურ პრესტიჟს. ის იყო კოლექტიური ღირსების „ხმოვანი წარმომადგენელი“. ძლიერი პოეტი ნიშნავდა ძლიერ ტომს.

ბაზრობები და პოეტური შეჯიბრებები (მაგ., უქაზის ბაზრობა) წარმოადგენდა საჯარო სივრცეს, სადაც პოეზია იძენდა პოლიტიკურ მნიშვნელობას. ამ სივრცეში:

- ყალიბდებოდა პოეტის რეპუტაცია;
- ფასდებოდა მისი ლინგვისტური ოსტატობა;
- მტკიცდებოდა ტომის კულტურული უპირატესობა.

პოეტი აქ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ფუნქციას ასრულებდა. მისი ტექსტი „დისკურსული ძალაუფლების“ განხორციელების საშუალება იყო. მისი „მე“ სინამდვილეში კოლექტიური „ჩვენ“-ის წარმომადგენელია.

ამ კონტექსტში პოეტის ინსტიტუციური სტატუსი შეიძლება გავიგოთ, როგორც სოციალური მანდატი. იგი არ მხოლოდ ინდივიდუალური შემოქმედი იყო, არამედ ტომის მიერ ლეგიტიმირებული წარმომადგენელი, რომლის სიტყვას ჰქონდა სამართლებრივი და მორალური ძალა. პოეტური ტექსტი ასრულებდა არქივის ფუნქციას, ინახავდა გენეალოგიებს, სამხედრო გამარჯვებებს, სამშვიდობო შეთანხმებებსა და ღირსების ნარატივებს. ზეპირი კულტურის პირობებში ეს მეხსიერება ძალაუფლების ფორმა იყო,

რადგან ის განსაზღვრავდა, თუ როგორ იქნებოდა დამახსოვრებული კონკრეტული მოვლენა და ვინ დაიმკვიდრებდა სიმბოლურ უპირატესობას.

გარდა ამისა, პოეტის ქარიზმა დაკავშირებული იყო მის „საკრალურ“ ავტორიტეტთან. ჯინთან კავშირის რწმენა პოეტს ანიჭებდა ზებუნებრივ ელფერს და მის სიტყვას აქცევდა არა მხოლოდ რიტორიკულ, არამედ მეტაფიზიკურ აქტად. ეს გარემოება ზრდიდა ტექსტის ზემოქმედების ძალას: პოეტური სიტყვა აღიქმებოდა, როგორც წინასწარმეტყველური ინტუიციის მატარებელი, რომელსაც შეეძლო როგორც შურისძიების გამართლება, ისე შერიგების ლეგიტიმაცია.

ამრიგად, პოეტის სიმბოლური ძალაუფლება ეფუძნებოდა სამ კომპონენტს: ქარიზმატულ ავტორიტეტს, საჯარო სივრცეში აღიარებულ ოსტატობას და კოლექტიური იდენტობის წარმომადგენლობას. ეს სამეული ქმნიდა ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელშიც პოეტი ფუნქციონირებდა, როგორც კულტურული არბიტრი და პოლიტიკური დისკურსის განმსაზღვრელი ფიგურა. მისი სიტყვა არა მხოლოდ ასახავდა სოციალურ რეალობას, არამედ ქმნიდა მას, ამტკიცებდა იერარქიებს და ამყარებდა ტომთაშორის ძალთა ბალანსს.

დასკვნა

ისლამამდელ არაბულ ტომობრივ საზოგადოებაში პოეტი ასრულებდა მრავალმხრივ კომპლექსურ სოციალურ ფუნქციას. იგი:

1. ქმნიდა და ინახავდა კოლექტიურ მეხსიერებას;
2. მონაწილეობდა პოლიტიკური ურთიერთობების რეგულაციაში;
3. განსაზღვრავდა და ამტკიცებდა ეთიკურ ნორმებს;
4. ფლობდა სიმბოლურ და ქარიზმატულ ავტორიტეტს.

პოეზია ამ ეპოქაში წარმოადგენდა არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ ძალას. პოეტის სიტყვა ქმნიდა ისტორიას, ამყარებდა მშვიდობას ან იწვევდა ომს, განსაზღვრავდა ღირსებასა და ავტორიტეტს. ამრიგად, ისლამამდელ არაბულ სამყაროში პოეტი ერთდროულად იყო საზოგადოებრივი სტრუქტურის ცენტრალური ფიგურა, მემატთანე, დიპლომატი და მორალური ლიდერი.

ისლამის გავრცელების შემდეგ პოეტის როლი ნაწილობრივ ტრანსფორმირდა. ყურანის რიტორიკულმა ძალამ შეცვალა პოეზიის სტატუსი, თუმცა პოეტური პრაქტიკა სრულად არ გაუქმებულა. ამ ტრანსფორმაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ისლამამდელ პერიოდში პოეზია უკვე ასრულებდა ინსტიტუციურ ფუნქციას იმდენად ძლიერს, რომ ახალ რელიგიურ დისკურსს მასთან ურთიერთობა და მისი გადაფასება დასჭირდა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ყურანი საკუთარ თავს განასხვავებს პოეზიისგან და ამავდროულად ეხმიანება მის რიტორიკულ ტრადიციას. ტექსტში პირდაპირ უარყოფილია იდეა, თითქოს წინასწარმეტყველი პოეტი იყოს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პოეტის ფიგურა წინაისლამურ საზოგადოებაში განსაკუთრებულ გავლენას ფლობდა. ახალი რელიგიური გზავნილი საჭიროებდა საკუთარი ავტორიტეტის გამოჯვანას ტომობრივი პოეტური დისკურსისგან, რათა დაეფუძნებინა განსხვავებული ღვთაებრივი და არა ქარიზმატულ-ტომობრივი ლეგიტიმაციის წყარო. ამით შეიცვალა ავტორიტეტის ბუნება: თუ ადრე სიტყვა ძალას იძენდა ტომის სახელით, ახლა იგი ღვთაებრივი გამოცხადების მატარებელი გახდა.

მიუხედავად ამისა, პოეზია არ გამქრალა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. პირიქით, ის ინტეგრირდა ახალ რელიგიურ და პოლიტიკურ რეალობაში. ადრეული ისლამური

პერიოდის პოეტები უკვე იცავდნენ არა მხოლოდ ტომს, არამედ რწმენით ერთიან თემს უმმას. პოეზია გამოიყენებოდა, როგორც რელიგიური პოლემიკის, აპოლოგეტიკისა და პოლიტიკური მობილიზაციის ინსტრუმენტად. ამგვარად, მისი ძალაუფლება ტრანსფორმირდა: ტომობრივი პრესტიჟის დაცვის ნაცვლად, სიტყვა ემსახურებოდა სარწმუნოების განმტკიცებასა და ახალი იდენტობის კონსტრუქციას.

ამ პროცესმა ცხადყო, რომ წინაისლამურ პერიოდში პოეტი უკვე ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული ფიგურაა, რომლის გავლენაც იმდენად ძლიერი იყო, რომ ისლამს არ შეეძლო მისი იგნორირება. საჭირო გახდა პოეზიის როლის გადახარისხება, მისი ეთიკური და თეოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა. შედეგად, პოეტი აღარ იყო მხოლოდ ტომის „ხმოვანი წარმომადგენელი“ იგი გახდა ახალი რელიგიური იდეალების მსახური და ნაწილობრივ დაკარგა თავისი ძველი ქარიზმატული სტატუსი. ეს ტრანსფორმაცია ადასტურებს, რომ სიტყვა, როგორც ძალაუფლების ფორმა, ისლამამდელ ეპოქაში უკვე ინსტიტუციურ დონეზე იყო დამკვიდრებული და სწორედ ამიტომ გახდა რელიგიური რეფორმის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი.

ლიტერატურა:

1. Hodgson, M. G. S. (1974). *The Venture of Islam, Vol. 1*. Chicago: University of Chicago Press.
2. Lord, A. B. (1960). *The Singer of Tales*. Cambridge, MA: Harvard University Press.
3. Peters, F. E. (1994). *Muhammad and the Origins of Islam*. Albany: SUNY Press.
4. Nicholson, R. A. (1907). *A Literary History of the Arabs*. Cambridge: Cambridge University Press.
5. Arberry, A. J. (1957). *The Seven Odes (Al-Mu'allaqat)*. London: Allen & Unwin.

VakhtangTevdoradze

Akaki Tsereteli state University

Kutaisi, Georgia

e-mail: vaxotevdoradze@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.12>

The Poet as Chronicler, Diplomat, and Moral Authority in Pre-Islamic Arab Tribal Society

Abstract

This article examines the multifunctional role of the poet in pre-Islamic Arabian tribal society and argues that poetry functioned not merely as an aesthetic practice but as a powerful institutional, political, and ethical force. The society of the *ḍjāhiliyya* period was based on oral tradition, tribal identity, and a code of honor (*sharaf*), where social order was regulated through reputation, collective memory, and the preservation of dignity. Within this framework, the poet (*shā'ir*) emerged as the “voice” of the tribe and a bearer of symbolic authority.

The study analyzes the poet's role in three main dimensions: as historian, diplomat, and moral authority. First, the poet functioned as an architect of historical memory. The works of the *Mo'allaqāt* poets including *Imru' al-Qays*, *ʿAntara b. Shaddād* and *Zuhayr Abi Sulmā* preserved genealogies, accounts of wars, heroic ideals, and structures of social hierarchy. In an oral culture, poetry served as an archive and shaped the narrative of collective identity.

Second, the poet acted as a political agent. Satirical poetry (*hidjā'*) could provoke intertribal conflict, while praise poetry (*madḥ*) could legitimize leadership and promote reconciliation. Particularly

in the poetry of Zuhayr Abi Sulmā, peace is presented not as weakness but as a rational and honorable political choice. Thus, poetry functioned as a medium of mediation, transforming violent conflict into a symbolic and negotiable discourse.

Third, the poet held moral authority. Through praise and satire, poets defined the boundaries between honor and shame, reinforcing ethical norms such as courage, loyalty, and hospitality. In the absence of formal legal institutions, poetic discourse operated as a mechanism of social regulation and moral evaluation.

The article also addresses the transformation of the poet's role following the rise of Islam. The rhetorical power of the Qur'an redefined the status of poetry, distinguishing divine revelation from poetic speech. Nevertheless, poetic practice was not abolished but integrated into the emerging Islamic order. This transformation demonstrates that poetry had already functioned as a strong institutional force in pre-Islamic society, requiring reinterpretation within the new religious framework.

Keywords: The Poet, as Chronicler, Diplomat, Moral Authority, Arab Tribal Society